საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო
გზამკვლევი სასამართლო საქმისწარმოებაში

SUPREME COURT OF GEORGIA
Guidebook in the case proceeding

2012
თბილისი

გამოცემა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის – „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა“ – მიერ.

The publication is prepared by the Supreme Court of Georgia and the United Nations Development Program (UNDP) Project “Support to Justice System”.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
0110, თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32,
ტელ: 2931262; ფაქსი: 2920876

Supreme Court of Georgia
№32 Zubalashvili street, Tbilisi, 0110, Georgia
Tel.: 2931262; Fax: 2920876

www.supremecourt.ge

1. სასამართლო სისტემა 8
2. საკასაციო სასამართლოს როლი 10
3. საკასაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ეტაპები .. 12
4. საკასაციო სასამართლოს მოსამართლეები 18
5. საკასაციო საჩივრის განხილვის წესი და ვადები 20
6. საკასაციო საჩივრის შინაარსი 26
7. საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპები 28
8. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა 30
9. საკასაციო საჩივრის მონაწილენი 32
10. გადაწყვეტილებების მიღება სისხლის სამართლის საქმეებზე 34
11. რა იგულისხმება განაჩენის უკანონობაში? 36
12. გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე 36
13. საქმის წარმოების განახლება კანონიერ ძალაში შესულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე 38
14. ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრის შეტანისას 44
15. საპროცესო ხარჯების თავისებურებანი ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას 46
16. დამატებითი ინფორმაცია 48

1. Judiciary System 9
2. Role of the Court of Cassation 11
3. Stages of Considering Cases at the Court of Cassation 13
4. Justices of the Supreme Court 19
5. Rules and Timeframes for Hearing Cassation Claims 21
6. Contents of a Cassation Claim 27
7. Stages of a Cassation Claim Review 29
8. Admissibility of a Cassation Claim 31
9. Participants of a Cassation Claim Review 33
10. Taking Decisions on Criminal Cases 35
11. Grounds for Annulling and Amending Judgment? 37
12. Rulings on Civil and Administrative Cases 37
13. Renewal of Proceedings on Civil and Administrative Cases Already Entered into Legal Force 39
14. Fee for Filing a Cassation Claim 45
15. Features of Procedural Expenses for Administrative Proceedings 47
16. Additional Information 49

ქალბატონებო და ბატონებო,
ძვირფასო თანამოქალაქენო,

თუკი თქვენ დაგჭირდებათ საკასაციო საჩივრის შედგენა ან თავად აღმოჩნდებით მოპასუხე კონკრეტულ საკასაციო საქმეში, მოგიწევთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცენტრალური კარის შეღება და საკასაციო საქმის წარმოების წესების გაცნობა.

ეს გამოცემა გახდება თქვენი გზამკვლევი უზენაეს სასამართლოში.

გზამკვლევი დაგეხმარებათ უზენაესი სასამართლოს როლის, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გაცნობაში, რათა თქვენთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს საკასაციო სამართალწარმოება და შეძლოთ ამ სამართლებრივი საშუალების გამოყენება თქვენი ინტერესების დასაცავად.

გზამკვლევი შეიცავს გასაგებად ჩამოყალიბებულ დაწვრილებით ინფორმაციას უზენაესი სასამართლოს სტრუქტურის, შიდა ორგანიზაციის, საქმის წარმოების, საკასაციო საჩივრის განხილვის წესისა და ვადების, სახელმწიფო ბაჟისა და საპროცესო ხარჯების შესახებ. აქვე მითითებულია შესაბამისი საკანონმდებლო, ელექტრონული თუ სატელეფონო წყაროები, რომელთა დახმარებითაც შეძლებთ დამატებითი ინფორმაციის მიღებას.

უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლისა და აპარატის თანამშრომელთა სახელით მინდა დავარწმუნო თითოეული თქვენგანი, რომ გზამკვლევში მითითებული საქმის წარმოებისა და საკასაციო საჩივრის განხილვის წესები განუხრელად და სრულად იქნება დაცული ჩვენს მიერ.

კონსტანტინე კუბლაშვილი.
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

Ladies and Gentlemen,
Dear Fellow Citizens,

If you ever need to compile a cassation claim or if you are in the position of a respondent in any particular cassation case, you will have to enter the central door of the Supreme Court of Georgia and get familiar with the rules of the cassation proceedings.

This publication will be your Guidebook at the Supreme Court of Georgia.

The presented Guidebook will provide assistance to you for getting acquainted with the role, functions and authorities of the Supreme Court of Georgia, so that the cassation proceedings are more easily accessible for you, and to ensure that you are able to use this legal tool for protecting your interests.

The Guidebook includes the detailed and clarified information about the structure of the Supreme Court of Georgia, its internal organization, rules and terms for considering cassation claims, case administration, state fees and procedural charges. In addition, it provides relevant legislative, electronic and telephone sources that will help you to get additional information.

On behalf of all the justices and the staff of the Supreme Court let me assure all of you that the rules for case administration and hearing of cassation claims indicated in the Guidebook will be accurately and fully observed by us.

Konstantin Kublashvili
Chief Justice of the Supreme Court of Georgia

1. რამდენსაფეხურიანია საქართველოს სასამართლო სისტემა?

საქართველოს სასამართლო სისტემა სამსაფეხურიანია:

- რაიონული და საქალაქო სასამართლო;
- სააპელაციო სასამართლო ;
- საკასაციო (უზენაესი) სასამართლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყანაში მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა, რომელიც 2005 წელს ჩამოყალიბდა წმინდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ.

იგი ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიურობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, მოსამართლეთა შეუცვლელობის, ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებით.

1. How Many Stages Are There within the Judiciary System of Georgia?

The Judiciary System of Georgia consists of three stages:

- District and City Court;
- Court of Appeal;
- Court of Cassation (Supreme Court).

The Supreme Court of Georgia represents the court of the highest and final instance for justice administration in the country, which was established in 2005 as a purely the cassation instance court.

It oversees administration of justice at common courts of Georgia and its activities are guided by the principles of legality, equality of parties and competitiveness, as well as irremovability, immunity and independence of justices.

2. როგორია საკასაციო სასამართლოს როლი?

საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოა, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ხელს უწყობს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სამართლის ნორმათა დასაბუთებული განმარტებისა და შეფარდების გზით, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის შექმნით საკასაციო სასამართლო უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის სწრაფ და გამართულ ფუნქციონირებას, სასამართლო სისტემაში საქმეთა გაჭიანურების შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

2. What is the Role of the Court of Cassation?

The Supreme Court of Georgia represents a court of cassation, which considers cassation claims on judgments made by the Courts of Appeal. In this regard, the role of Supreme (Cassation) Court for doing justice and establishing the principles of legality in the country is significant important. It supports the introduction of unified interpretation of the law and establishment of the common judiciary practice.

Through the substantiated clarification and comparison of legal norms, by establishing of entire court practice, the Court of Cassation ensures prompt and streamlined functioning of the judiciary system, minimized protraction of hearing cases within the judiciary system and the administration of quick justice.

3. როგორ არის მოწყობილი საკასაციო სასამართლო?

სასამართლოს მისაღებში შემოსვლისა და რეგისტრაციის (შესაბამისი ნომრის მიცემით) შემდეგ საქმეები ჩაბარდება შესაბამისი პალატის სამდივნოს, საიდანაც გადაეცემა კონკრეტულ მოსამართლეს (თანაშემწეს) კანონით განსაზღვრული რიგითობის მიხედვით (საქმეთა განაწილება ხდება მათი შემოსვლის დროისა და მოსამართლეთა ანბანური რიგის შესაბამისად).

განაწილებული საქმე გადაეცემა შესაბამისი მოსამართლის თანაშემწეს, რომელიც მას დროულად მიაწვდის მოსამართლეს. როგორც საქმეთა განაწილების, ისე მათი განხილვის შემდეგ კომპიუტერულ პროგრამაში შედის დეტალური ინფორმაცია.

ამ ინფორმაციას მოქალაქეები შეიძლება გაეცნონ სასამართლოს მისაღებში, ასევე – სასამართლოს ინტერნეტ-ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია: www.supremecourt.ge.

მოქალაქეთა მისაღების სპეციალისტები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კონსულტაციასა და დახმარებას უწევენ მოქალაქეებს, კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კი ინფორმაციას აწვდიან მხარეებს მათი საქმის განხილვის ეტაპების შესახებ.

მხარეთა (ფიზიკური თუ იურიდიული პირების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) საკასაციო საჩივრებს უზენაეს სასამართლოში განიხილავს სამი პალატა:

3. How Is the Court of Cassation Organized?

After being received and registered (by assigning a unique number) at the Court reception, the cases are delivered to the secretariat of the relevant Chamber and then transferred to a particular justice (assistant) in accordance with the defined by the law order, which envisages distribution of cases among justices based on the receipt time and the alphabetic order of a justice.

The distributed (assigned) case is delivered to an assistant of the respective justice, who ensures timely transfer of the case to the justice. The detailed information is entered into the computer after the cases are distributed and heard.

Citizens can get acquainted with such information at the court reception and on the web-page of the Court: www.supremecourt.ge

The personnel at the reception, within the area of their competence, provide counseling and assistance to citizens and, in addition, provide the parties with the information about the stages of considering cases via special software.

Cassation claims of the parties (natural persons or legal entities; state and local self-govrning bodies) are heard by the following three chambers of the Supreme Court of Georgia:

- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

უზენაესი სასამართლოს პალატა საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს საქართველოს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს.

უზენაეს სასამართლოში შექმნილია ასევე სადისციპლინო პალატა, რომელიც განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

უზენაესი სასამართლოს პალატა საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. საკასაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ საჩივრდება.

- Chamber of Criminal Cases;
- Chamber of Civil Cases;
- Chamber of Administrative Cases.

Any Chamber of the Supreme Court reviews cassation claims against the judgments of the Appellate courts of Georgia in accordance with rules determined by the procedural law. In the cases specified by the law and in accordance with the determined rules, it hears other cases under its cognizance, reviews judgments and other court resolutions generated due to newly disclosed and newly detected circumstances, and makes decisions on revoking valid judgment in case of relevant legal grounds.

There is also a Disciplinary Chamber established at the Supreme Court of Georgia, which reviews claims against the judgments made by the Disciplinary Panel of Judges of Common Courts of Georgia.

The Chamber of the Supreme Court considers cases collectively, in a group of three judges. The judgments (decisions) of the Chamber of Cassation are final and may not be appealed.

უზენაეს სასამართლოში შექმნილია ასევე დიდი პალატა, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. დიდი პალატის სხდომებს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით – უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა 9 მოსამართლის შემადგენლობით, საქმის განმხილველი პალატის განჩინების საფუძველზე, განიხილავს საქმეს, თუ იგი თავისი შინაარსით იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, ან საქმის განმხილველი პალატა არ იზიარებს საკასაციო პალატის ან დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას.

კანონის თანახმად, საქმის დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის უფლებამოსილება, კანონით დადგენილ შემთხვევებში, გააჩნია მხოლოდ საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლო პალატას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საკითხს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ, საკასაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, აყენებს მხარე (მისი ადვოკატი), რაც არასწორი მოთხოვნაა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია პლენუმი, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს

There is also a Grand Chamber at the Court, which consists of the Chairman of the Supreme Court, Chairmen of the Chambers and no less than 12 judges elected by the Plenum for the term of 2 years. Sittings of the Grand Chamber are chaired by the Chairman of the Supreme Court, or a Chairman of one of the Chambers of the Supreme Court, as assigned by him.

The Grand Chamber of the Supreme Court with its 9 judges considers the case based on the ruling of the hearing the case Chamber, if the case with its contents represents a rare legal problem, or if the hearing the case Chamber does not share the legal evaluation already made by either the Cassation Chamber or the Grand Chamber.

In accordance with the Law and in cases determined by it, the authority to transfer a case to the Grand Chamber rests with the chamber reviewing the case at the cassation level. However, there have been precedents when the issue on transferring the case to the Grand Chamber has been raised by the party (its attorney) after the judgment had been rendered by the Cassation Chamber, which is an incorrect request.

მოსამართლეებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან. პლენუმის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. პლენუმი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხები.

4. ვინ არიან საკასაციო სასამართლოს მოსამართლეები?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და აქვს სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებს 19 მოსამართლე. მათი ბიოგრაფია და პირადი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.supremecourt.ge.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილი.

The Plenum is established at the Supreme Court of Georgia; it consists of the Chairman of the Supreme Court, First Deputy Chairman, Deputy Chairmen, Justices of the Supreme Court and the Chairpersons of the Appellate Courts. Activities of the Plenum are led by the Chairman of the Supreme Court of Georgia. The Plenum is authorized to resolve organizational and legal issues within its competence.

4. Who Are the Justices of the Cassation Court?

A citizen of Georgia over 28 can become a justice of the Supreme (Cassation) Court if s/he has a higher legal education, speaks the state language, has passed the judicial exam and has at least 5- years working experience in this area.

19 judges perform their duties at the Supreme Court of Georgia. Interested persons may access their resumes and personal information on the official web page of the Supreme Court of Georgia: www.supremecourt.ge.

The Chairman of the Supreme Court of Georgia is Mr. Konstantin Kublashvili.

5. როგორ განიხილება საჩივარი საკასაციო სასამართლოში?

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატაში, თუ საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება წერილობითი ფორმით იმ სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს საქმესთან ერთად გადაუგზავნის უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

საკასაციო საჩივარი განიხილება კოლეგიურად – სამი მოსამართლის შემადგენლობით.

5. How Are the Claims Heard at the Court of Cassation?

The judgment of the Court of Appeal and other judgments can be appealed by the rule of cassation at the respective Chamber of the Supreme Court of Georgia, if the author of the cassation claim considers that the judgment of the court is illegal. Known factual circumstances, which were regarded as proved by the Court of Appeal, are mandatory for the Court of Cassation.

Cassation claims can be filed in writing to the Appellate Court that rendered the judgment.

After receiving the cassation claim the Court of Appeal transfers the cassation claim together with the case to the Supreme Court.

The deadline for rendering a judgment at the Court of Cassation is 6 months.

A cassation claim is considered collectively – by three judges.

6. ვის შეუძლია საკასაციო საჩივრის შეტანა?

სისხლის სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებით სარგებლობენ პროცესის მონაწილე სუბიექტები. სამოქალაქო პროცესის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ასეთი უფლებამოსილება გააჩნიათ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ უფლებით მხარეებთან ერთად სარგებლობენ საქმეში სავალდებულო წესით ჩართული მესამე პირები.

7. რომელი გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს კასაციის საგანი?

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა და რომლის გასაჩივრებასაც ითვალისწინებს კანონი.

8. როგორ და რა ვადაში უნდა იქნეს შეტანილი საკასაციო საჩივარი?

მხარეებს საკასაციო საჩივარი შეაქვთ გადაწყვეტილების (განაჩენის, განჩინების) გამომტან სააპელაციო სასამართლოში. პირდაპირ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა სისხლის სამართლის საქმეებზე არის ერთი თვე. ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, ხოლო

6. Who Can File the Cassation Claim?

In criminal proceedings parties (subjects) to a lawsuit enjoy the right to file the cassation claim. According to civil procedures, in civil proceedings such authority is granted to parties and third persons with an independent count (plaintiff's claim); and as for the administrative proceedings - third parties, with mandatory participation enjoy this right together with the parties.

7. What Decisions May Become the Subject to Cassation?

A judgment and other decisions made by a Court of Appeal can be challenged by the rule of cassation that the author of cassation considers illegal and appealing of which is envisaged by the law.

8. What are the Terms and Conditions for Bringing a Cassation Claim?

The parties file the cassation claim with the Court of Appeal that has rendered the judgment (verdict, ruling). It is inadmissible to bring the cassation claim to the Supreme Court directly. The cassation claim on criminal cases can be filed within a month and the term starts from announcement of the ruling. As for the civil and administrative cases – the cassation claim can be filed within 21 days and the term starts from the moment of delivering the judgment to the parties.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე და მისი ათვლა იწყება გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე წარდგენილ საჩივრებს კასატორმა უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სისხლის სამართლის საქმეებზე საკასაციო გასაჩივრებისა და შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს და მსჯავრდებულს. რაც შეეხება ადვოკატს, მას ამის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი.

თუ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე საკასაციო საჩივარი შეაქვს მხარის ადვოკატს, საჩივარს უნდა დაერთოს შესაბამისი მინდობილობა, რაც ადასტურებს მის უფლებამოსილებას, წარადგინოს აღნიშნული საჩივარი. აუცილებელია, საჩივარს ერთვოდეს მინდობილობა და მისი მოქმედების ვადა საჩივრის წარდგენის დროისათვის არ იყოს გასული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატებში საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის სავალდებულოა, რომ წარმომადგენელს (ადვოკატს) გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება და იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

The cassation claim on criminal cases should be submitted by the prosecutor, general prosecutor and convicted person. Attorney should bring the claim to the court of appeal if the accused is of minor age or is physically or mentally challenged.

If a party's attorney brings a cassation claim on the cases of civil or administrative law, then the relevant power of attorney should accompany the claim that is to confirm his authority to present the mentioned claim. It is necessary that the power of attorney be attached to the claim and not be expired or the moment of submitting the claim.

In order to implement the attorney's authorities at the Chambers of Criminal, Civil and Administrative Cases of the Supreme Court of Georgia it is necessary that a representative (an attorney/lawyer) has passed a bar exam and to be a member of the Bar Association of Georgia.

9. როგორია საკასაციო საჩივრის შინაარსი და ვინ უნდა შეადგინოს იგი?

საკასაციო საჩივარი, გარდა სავალდებულო რეკვიზიტებისა, აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას: რა სამართლებრივი საკითხები გადაწყდა არასწორად, მატერიალური ან საპროცესო კანონმდებლობის რა ნორმები დაირღვა საქმის განხილვისას (იხილეთ დამატებითი ინფორმაცია).

თუ საჩივარი არ შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს, მოსამართლე კასატორს აძლევს ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეავსებს ხარვეზს, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო კანონმდებლობა ადგენს შესაძლებლობას, კანონით დადგენილ შემთხვევაში კასატორს დაენიშნოს დამცველი, მისი უფლებების სრულყოფილად რეალიზების მიზნით.

კანონმდებელი მკაცრად განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის ფორმასა და შინაარსს და მას უკავშირებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს: თუ საჩივარი შედგენილი არ არის კანონის მოთხოვნათა დაცვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, არ განიხილოს ასეთი საჩივარი. ამდენად, პირს თავისი უფლების სრულყოფილად რეალიზებისათვის ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება კვალიფიციური იურიდიული დახმარება. კანონმდებელი სავალდებულოდ არ მიიჩნევს, რომ საკასაციო სასამართლოში მხარე ყოველთვის წარმოდგენილ იქნეს ადვოკატის მეშვეობით, მაგრამ ასეთი მომსახურება მიზანშეწონილია თვით პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან დაუსაბუთებელი ან არასრულყოფილი საკასაციო საჩივრის წარდგენით

9. What Are the Contents of the Cassation Claim and Who Should Draft It?

In addition to all necessary details, a cassation claim should also include a following: what legal issues were resolved incorrectly or what norms of material or procedural legislation were breach during the case hearing (see the additional information).

If the claim does not meet the abovementioned requirements, the judge establishes deadlines to the person, filling the cassation claim for making relevant corrections and additions. If the person, filing the cassation claim does not take remedial actions, the court of cassation rules on rejecting the claim; such decision is final and may not be appealed.

The procedural legislation allows for assigning an attorney to the person, in the cases determined by the law, in order to realize his/her rights.

The legislator strictly determines the form and contents of the cassation claim and relates specific legal outcomes to it: if the claim is not drafted (developed) in accordance with the requirements of the law, the Court of Cassation is authorized to decline such claim. Thus, in order to enjoy the rights completely, a person often needs a qualified legal assistance. The legislator does not oblige a party to be always represented by an attorney at the Court of Cassation; however, such service is advisable in the best interests of the person, since by submitting an insufficient or incomplete cassation claim the full enjoyment of rights can be jeopardized.

შეიძლება, საფრთხე შეექმნას მისი უფლების სრულყოფილად რეალიზებას.

სისხლის სამართალწარმოებაში, მოწინააღმდეგე მხარე საკასაციო საჩივრის შესაგებელს წარადგენს საკასაციო საჩივრის ასლის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში გადაწყვეტილების გამომტან (სააპელაციო) სასამართლოში.

კასატორს უფლება აქვს, საკასაციო პალატის მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, უარი თქვას თავის საჩივარზე. ასეთ შემთხვევაში იმავე საქმეზე საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, დამატებით, სისხლის სამართალწარმოებაში, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია ასევე სასამართლო სხდომაზე კასატორის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

10. როგორია წარმოება საკასაციო საჩივრის მოსამართლისათვის გადაცემის შემდეგ?

საკასაციო საჩივარი მისი წარდგენიდან განხილვამდე, როგორც წესი, გაივლის სამ ეტაპს. ესენია:

1. საკასაციო საჩივრის მიღება;
2. დასაშვებობის შემოწმება;
3. დაშვების შემთხვევაში მისი განხილვა (დასაბუთებულობის, კანონიერების დადგენა).

საკასაციო სასამართლო დასაშვებობის შესამოწმებლად საჩივარს წარმოებაში იღებს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც ეცნობება მხარეებს.

If the opposing party deems necessary, he/she may file a counterclaim against the cassation claim within the timeframe determined by the law after the receipt of the copy of the cassation claim at the court making the decision (Court of Appeal).

In criminal proceedings the opposing party may file a counterclaim against the cassation claim within the 5 days after the receipt of the copy of the cassation claim before the court where the decision was delivered (Court of Appeal).

In addition to the above specified cases, in criminal proceedings, the cassation court shall also leave the claim without examination, if appellant does not attend the court hearing, without a valid reason.

10. What Are the Proceedings after the Cassation Claim Is Transferred to the Justice?

As a rule, before reviewed, the submitted cassation claim shall pass three stages:

1. Receipt of a cassation claim;
2. Examination for its admissibility;
3. Consideration of the case if admitted (determination of its substantiated grounds and legality).

In order to check for admissibility, the Court of Cassation accepts the claim without oral hearing and informs parties about it.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მომხსენებელი მოსამართლე 10 დღის ვადაში ამოწმებს, არსებობს თუ არა საკასაციო საჩივრის მიღების საფუძველი (სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას ასეთი ვადა დადგენილი არ არის). საჩივრის წარმოებაში მიღების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

11. რა შემთხვევაშია დასაშვები საკასაციო საჩივარი?

საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ გადაწყდება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი. ეს პროცედურა უნდა გაიაროს ყველა საკასაციო საჩივარმა. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს უზენაესი (საკასაციო) სასამართლო ყველა საქმეს არ განიხილავს. ამ ეტაპზე შეირჩევა მხოლოდ ის საქმე, რომელიც კანონით გათვალისწინებულ პირობებს აკმაყოფილებს. კერძოდ, სამართლის ყველა დარგში საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებისათვის სავალდებულოა შემდეგი სამი პირობა:

ა) საქმე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა განსხვავდებოდეს ამ კატეგორიის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ უნდა იყოს ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით,

In case of civil and administrative cases, the reporting justice checks for grounds for accepting the cassation claim (there is no time limit for criminal cases) within 10 days. After the case is accepted, the court examines an issue of admissibility of the claim.

11. In What Cases Can the Cassation Claim Be Admitted?

After accepting the cassation claim, the issue of its admissibility shall be decided. All the cassation claims should undergo this procedure. This is significant because the Supreme (Cassation) Court of Georgia does not review all the cases. At this stage only the cases meeting determined by the law conditions shall be selected. Namely, following three conditions are mandatory for admitting the cassation claim for consideration in all the areas of law:

a) The case should be significant for the court development and for the establishment of the common judiciary practice;

b) Ruling of the Court of Appeal should be different from the previously existed practice of the Supreme Court of Georgia in reference to cases of such category.

c) The case should have been heard by the Court of Appeal with material procedural violations that could have substantially affected the outcomes of case hearing.



რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის დამატებითი პირობები. კერძოდ: იგი დაიშვება, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან მიღებულია განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ასევე, არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია ყველა საკასაციო საჩივარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებულ დავებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამივე პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობას, მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას.

12. ვინ მონაწილეობს საკასაციო საჩივრის განხილვაში?

საკასაციო საჩივრის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და მესამე პირები.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ ბრალდებისა (პროკურორი) და დაცვის მხარეები (მსჯავრდებული, მისი დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი). თუ მსჯავრდებული პატიმარია, იგი მონაწილეობს მისი მოთხოვნით (აღნიშნული მოთხოვნა დაფიქსირებული უნდა იყოს მის მიერ შედგენილ საკასაციო საჩივარში) და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

There are additional conditions related to the admissibility of a cassation claim in reference to a civil case: it may be admitted if the second default judgment of the Court of Appeal is appealed or if there is a ruling on leaving the default judgment unchanged.

Cassation claims on non-property disputes, which concern violations of freedom of speech and expression are admitted.

With the motivated ruling, the members of all the three Chambers of the Supreme Court of Georgia, considering the case, may transfer the case to the Grand Chamber for hearing.

12. Who Participates in the Hearing of the Cassation Claim?

The parties and the third persons participate in the hearing of the cassation claim.

In criminal cases accuser (prosecutor) and defence (convict, attorney and legal representative) parties participate in the hearings. If the convict is an inmate, he participates with his own request (this request must be recorded in his cassation claim) or by court decision.

Following persons participate in civil and administrative cases hearings: the parties representing the plaintiff and the defendant, as well as the third persons involved in the proceedings (their attorneys and other representatives).

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მონაწილეობენ მოსარჩელე და მოპასუხე მხარეები (მათი დამცველები და სხვა წარმომადგენლები), ასევე – პროცესში ჩაბმული მესამე პირები.

საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო (ყველა კატეგორიის საქმეზე) უფლებამოსილია, საქმე განიხილოს როგორც მხარეთა მონაწილეობით (ზეპირი მოსმენით), ასევე – მათი მონაწილეობის (ზეპირი მოსმენის) გარეშე. ამ საკითხს საკასაციო სასამართლო წყვეტს საქმის გარემოებების გათვალისწინებით. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საკასაციო სასამართლო აცნობებს მხარეებს.

13. რა გადაწყვეტილებებს იღებს საკასაციო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებზე?

საკასაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- გამამტყუნებელი განაჩენი უქმდება და მის ნაცვლად დგება გამამართლებელი განაჩენი;
- გამამართლებელი განაჩენი უქმდება და მის ნაცვლად დგება გამამტყუნებელი განაჩენი;
- განაჩენი შეიცვლება;
- განაჩენი რჩება უცვლელად, ხოლო საჩივარი (საჩივრები) – დაუკმაყოფილებლად.

ამასთან, საკასაციო სასამართლოში შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტა.

The Court of Cassation hearing the cassation claim (for the cases of all categories) is authorized to considercases with participation of parties (by oral hearing), as well as without their attendance (oral hearing). The Court of Cassation decides on this matter taking in account the circumstances of the case. The Court of Cassation shall inform the parties about the decision made.

13. What Decisions Does the Court of Cassation Make on Criminal Cases?

The Court of Cassation delivers one of the decisions:

- Revoke the judgment of conviction and make a new judgment of acquittal;
- Revoke the judgment of acquittal and make a new judgment of conviction;
- the judgment is changed;
- the judgment remains unchanged and the claim unsatisfied;

Besides, in the Cassation Court the motion for the plea-bargaining could be examined.

14. რა იგულისხმება განაჩენის უკანონობაში?

განაჩენი უკანონოდ ითვლება იმ შემთხვევაში თუ:

• საქმეში არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი ხასიათის დარღვევები, რაც არ გამოუვლენიათ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს, ამასთან, თუ ასეთი დარღვევები მათ დაუშვეს საქმის განხილვისას, ან გადაწყვეტილების მიღების დროს;

• მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირებული არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით;

• მსჯავრდებულს დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

15. რა გადაწყვეტილებებს იღებს საკასაციო სასამართლო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე?

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები განჩინებით იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

• უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს;

14. What is the meaning of an illegality of judgment?

The judgment is illegal if:

- there is an essential breach of the Criminal Procedure Code, that violations were not revealed in the courts of first instance and Court of Appeal, or if that violations were committed during the case proceedings or decision-making process.;

- incorrect qualification under the Criminal Code of Georgia of the crime committed by the convicted person;

- inadequacy of the punishment to the gravity of the action and the personality of the accused;

The judgment of acquittal may not be annulled if the right to defense of the accused has been violated. This requirement of the law is established for the purpose of avoidance of bringing charges against an acquitted person.

15. What Decisions Does the Court of Cassation Make on Civil and Administrative Cases?

The Chambers of Civil and Administrative cases of the Court of Cassation deliver one of the following judgments:

- Leave the judgment of the Court of Appeal unchanged and not to satisfy the cassation claim;

• აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში;

• აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოცემულ საქმეზე თვითონ იღებს ახალ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებისას სასამართლო ამის შესახებ წინასწარ აცნობებს მხარეებს.

16. რა წესით ხდება საქმის წარმოების განახლება კანონიერ ძალაში შესულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე?

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე შეიძლება გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს მხოლოდ მაშინ, თუ საქმეზე არსებობს კანონით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილი გარემოება ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, რაც განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემდეგ საფუძვლებს:

• თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც, კანონის თანახმად, არ ჰქონდა ამის უფლება;

• ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ ეს კანონით სავალდებულოა) არ იყო მიწვეული საქმის განხილვაში;

- Revoke the appealed judgment and return the case to the Court of Appeal for a new hearing;

- Revoke the judgment of the Court of Appeal and make a new decision on the given case itself.

If the decision is made without oral hearing, the court informs the parties about it in advance.

16. What Are the Rules for Renewing Case Proceedings for the Cases of Civil and Administrative Law Already Entered into Legal Force?

The ruling of the court on civil and administrative cases already entered into legal force can be revoked and the case proceedings can be renewed only if there are newly disclosed circumstances as foreseen by the law or if there are any grounds for vacating the judgment, which is determined by the procedural law.

The Law on Civil Proceedings determines the following grounds for vacating the judgment, if:

- an unauthorized by the law judge participated in the decision making process;

- one of the parties or their legal representative (if it is mandatory under the law) was not invited to the case hearing;

• პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე.

ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვას, დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით, კერძოდ:

• დადგინდა, რომ ყალბია დოკუმენტი, რომელსაც ემყარება გადაწყვეტილება;

• კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ცრუ დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

• კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

• პრეიუდიციული ფაქტები, ანუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რაც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

• არსებობს იმავე საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

• მხარემ შეიტყო ისეთ გარემოებათა არსებობის შესახებ, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

- a person, whose rights and interests envisaged by the law are directly affected by the judgment, was not invited to the case hearing.

Newly disclosed circumstances, which may serve as grounds for revising the decision already entered into the legal force, are determined by the Article 423 of the Civil Proceedings Code, namely:

- With the judgment entered into legal force it is determined that the document based on which the judgment was made is counterfeit;

- With the judgment already entered into legal force it is determined that the testimony of a witness, opinion of an expert and translation were deliberately inaccurate, which resulted in an illegal or unsubstantiated judgment;

- with the judgment entered into legal force it is determined that the parties of the case and their representatives, or a judge were involved in criminal activities;

• არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობის შესახებ. ამიტომ ეს გარემოება მხარემ თავის განცხადებაში აუცილებლად უნდა მიუთითოს და სასამართლოში წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები.

განცხადების შეტანა დაუშვებელია, თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 5 წელი, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გადასასინჯი გადაწყვეტილებისა.

- prejudiced facts, that is the decision, judgment or ruling of the court or a decree of any other body, which served as basis for such resolution, was annulled;

- there is a resolution on the same case which is entered into force;

- there is a judgment of the European Court of Human Rights, that is entered into the force, according to which the Court found the violation of the European Convention of Human rights and Fundamental Freedoms and/or its Additional Protocols and the violation is proceeded from the decision that must be re-examined. The claim for reopening of the case proceedings due to newly disclosed circumstances shall be brought within 3 month after the judgment of the European Court of Human Rights is entered into the legal force.

- a party learned about existence of circumstances that would result in making the judgment in its favor while hearing the case at the court.

An application may not be submitted if 5 years have passed after the judgment entered into the legal force, except when the final judgment of the European Court of Human Rights demands revising the decision.

17. რა ოდენობის ბაჟს იხდის საკასაციო საჩივრის ავტორი?

სისხლის სამართლის საქმეებზე მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

სამოქალაქო საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ფიზიკური პირებისთვის 6 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირებისთვის 8 000 ლარს.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შესაძლებელია პირის სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება, შემცირება ან გადადება, მისი მატერიალური მდგომარეობისა თუ სხვა მიზეზების გათვალისწინებით.

საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში პირს უბრუნდება გადახდილი ბაჟის 70 პროცენტი. იგივე წესი მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

17. What Is the Amount of the Fee to be Paid by the Author of the Cassation Claim?

A claimant does not pay any state fee for criminal cases.

For civil cases the amount of the state fee is 5 per cent of the value of the subject to dispute, however, it shall not be less than GEL 300. Amount of the state fee shall not exceed GEL 6 000 for the physical person and GEL 8 000 for the legal person.

If there are any grounds foreseen by the law, it may be allowed to exempt the person from paying the court fee, or postpone or reduce it, considering his/her financial and other conditions.

In case the cassation claim is considered inadmissible, 70 per cent of the paid fee is refunded to the claimant. The same rule applies to administrative proceedings.

18. რა არის საპროცესო ხარჯების თავისებურებანი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში?

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით მოქმედებს თითქმის იგივე წესები, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუმცა არსებობს რამდენიმე თავისებურება:

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სახელმწიფო ბაჟს მხარე არ იხდის სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებულ საჩივარზე. მაგალითად, როდესაც პირს შეაქვს საკასაციო საჩივარი პენსიის დანიშვნის ან გადაანგარიშების, სახელმწიფო სოციალური შეღავათების მინიჭების, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ და ა.შ.

სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

თუ სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და ეს აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, მაშინ პროცესის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს იმის მიუხედავად, ვის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილება გამოტანილი.

18. What Are the Specifics of Procedural Expenses in Administrative Proceedings?

Rules for procedural expenses in administrative proceedings are identical to those in civil proceedings; however, there are some specifics:

A party does not pay any state fee in administrative proceedings for the claims related to the issues of the state social security: for instance, when a person files a claim for being granted a pension or its recalculation, or for receiving social benefits, also for reimbursing arrears on wages, etc.

A party does not pay any court fee for the claims related to prevention of family violence, protection the victims of domestic violence or any other state assistance.

If the subject to the dispute at the court was the legality of an individual administrative-legal act and this act was issued without proper examination of circumstances of the case, then the liability to cover the procedural expenses shall be borne by an administrative body regardless in whose favor the judgment was made.

დამატებითი ინფორმაცია:
როგორ შევადგინოთ საკასაციო საჩივარი?

საკასაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლი ადგენს იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა ჩამონათვალს, რომელთა მითითება სავალდებულოა სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანისას.

რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის ფორმასა და შინაარსს, იგი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და მისი დებულებები ერთგვაროვანია სამართლის ამ ორი დარგისთვის.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა როგორც სარჩელის, ასევე სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ფორმები. სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია ამ ფორმებით. აღნიშნულ ფორმათა გადმოწერა პერსონალურ კომპიუტერში, ან მათში მოცემული რეკვიზიტების მიხედვით ელექტრონულ ფორმატში ჩაბეჭდვა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის მეშვეობით, რომლის მისამართია: www.supremecourt.ge

სამოქალაქო სამართალწარმოებისას საკასაციო საჩივრით, კანონით დადგენილი წესით, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ანუ გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ერთი და იმავე მხარის სასამართლოში ორჯერ გამოუცხადებლობის შედეგად. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: მოწინააღმდეგე მხარეს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლისა, უფლება აქვს საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი. მას ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია მაშინაც, თუ სააპელაციო სასამართლოში უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

ADDITIONAL INFORMATION:

How Shall We Draft (Design) a Cassation Claim?

The form and the contents of a cassation claim are defined by the procedural legislation. Namely, the article 301 of the criminal proceedings code determines the list of factual and legal circumstances that are necessary to be indicated while filing a cassation claim to the Court.

As for the form and content of the cassation claim in civil and administrative proceedings, it is determined by the Article 396 of the civil proceedings code and its provisions are the same for this two areas of the law.

Furthermore, according to the decision of the High Council of Justice the new forms of claim, an appeal claim and cassation claim (counter-claim) has been elaborated. In case of civil or administrative dispute, the application to the court is possible by filling these forms. All these renewed forms shall be downloaded or filled online from the web-page of The Supreme Court or Georgia: www.supremecourt.ge


საქართველოს უზენაესი
სასამართლო
ძმ.ზუბალაშვილების ქუჩა
პარლამენტი
ბესიკის ქუჩა
მ.ლაღიძის ქუჩა
კონსერვატორია
ალ. ჭავჭავაძის ქუჩა
გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ქ უ ჩ ა
M
თავისუფლების
მოედანი
იუსტიციის
სამინისტრო
M
რუსთაველი
რუსთაველის გამზირი
ოპერისა და
ბალეტის თეატრი

0110, თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32,
ტელ: 2931262; ფაქსი: 2920876

№32 Zubalashvili street, Tbilisi, 0110, Georgia
Tel.: 2931262; Fax: 2920876

www.supremecourt.ge